სამშობლო

სამშაბათი 11 აგვისტო 1915 წ.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერელებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გაზეთებ. ... განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი — ტექსტის ... 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დებედვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 151 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 151

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნომერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ციწაძე.

ელეკტრო „რადიუმი“ თეატრი
ორშაბათიდან, 10, 11, 12 და 13 აგვისტოს ახალი პროგრამა
მხოლოდ მოზრდილთათვის.
სენსაციონ! ვანიუშინის ბავშვები
ი. ი. ნაიდენოვის პიესიდან, დრამა 6 ნაწილათ, მოზეუხინის მონაწილეობით.
პატე ჟურნალი.

ანონსი: 14 აგვისტოს თეატრი დაკეტილია. 15 და 16 აგვისტოს, მხოლოდ ორი დღით ახალი პროგრამა; ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი.

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის წიგნაკი მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.

„ქართველი საქველმოქმედო საზოგადოების“ რწმუნებულმა
გაბის ვონაგოვმა
რომელსაც დავალებული ქონდა ეყიდა სიმინდი და სხვა პირველ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი სანოვაგე ჩრდილოეთ საქართველოში და თერგის ოლქში ქუთაისის, თფილისის და ბათუმის ოლქის მოუსავლობით და ომით დაზარალებულ მცხოვრებთათვის—გახსნა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე რიჟინაშვილის სახლში სიმინდის საწყობი, სადაც საუკეთესო სიმინდი ფუთი იყიდება თვრამეტ შაურათ. 2—2.

ქ-ნ ელისაბედ ხოჯევანოვის ქალთა პროგიმნაზიაში მისაღები და ხელმეორე გამოცდები დაიწყება 17 აგვისტოდა.

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოკოლებული
მ. გ. კვინიხიძის
(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).
აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან, სწავლა კი 1 სექტ. პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე საანგარიშო განყოფილება, სადაც მიიღებიან სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.

გაბრიელ იოსების ძე ექიმი გოკიელის
ელეკტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საგუთარი სახლი. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 —2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ეოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი
ვარლამ კავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარეიძეი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი მიხეილ კაშია
კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას ღებულობს დილის 7 საათ.
მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი
თვ.

ბეგზა მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

მასაჟით სამ. კურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნოკებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

გაზეთი „სამშობლო“ თბილისში მოიკითხეთ კანტორა „განათლებასა“ და მის დამტარებლებთან. აქვე მიიღება ხელის მოწერაც. ოლღას ქუჩა, 6.

ომის დღიური

კავკასიის ასპარეზზე დიდი ბრძოლა არ ყოფილა. შეტაკება უხდებოდათ მხოლოდ მოწინავე რაზმებს. რუსებმა მოიგერეს ოსმალოთა იერიშები ჩირგასარის მთის წინააღმდეგ ოლთისის მიმართულებით.

კოვნოს დატოვებამ კიდევ ერთხელ ნათელყო გერმანელების არტილერიის უპირატესობა თანამედროვე ომის დროს. ვერც ერთმა ციხემ ამ არტილერიის ცეცხლს ვერ გაუძლო, ვერც დასავლეთის ფრონტზე და ვერც რუსეთში. საკმაოა გავიხსენოთ გერმანელთა ძლევა-მოსილი მსვლელობა დასავლეთით, სადაც უძლიერესი ბელგიისა და საფრანგეთის სიმაგრეები ნაქურჩის ხუხულასავით ინგრეოდენ. ნაშიური, ლიეჟი, ანტვერპენი, მონსი, მობეჟი, ჟივე და სხვანი რაღაც ორიოდე კვირის განმავლობაში დაეცენ და მოსალოდნელი იყო, რომ ასეთივე ბედი ეწეოდა რუსეთის სიმაგრეებსაც. კოვნოს აღებამ დაამტკიცა, რომ თანამედროვე სიმაგრეების წინააღმდეგ საჭირო არ არის მრავალრიცხოვანი ცარი. გერმანიაც სწორეთ ასე იქცევა. ის ამოქმედებს და ამოძრავებს მრავალ-რიცხოვან მძიმე არტილერიას, რომლის ცეცხლს ვერც ერთმა ციხემ ვერ გაუძლო. შეუძლია მხოლოდ გასძლოს ისეთმა სიმაგრეებმა, რომელნიც ერთნაირ ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენენ, სადაც საძნელოა მძიმე არტილერიის დადგმა და მისი ამოძრავება-ამოქმედება. ასეთი არიან მაგ. ვერდენი საფრანგეთში და ოსოვეცი რუსეთში. ოსოვეცი თუმცა პატარა ციხეთ ითვლება სხვა ციხეებთან შედარებით, მაგრამ მისი ბუნებრივი მდებარეობის გამო, გერმანელებს ის ჯერ ვერ აუღიათ, რადგან მას ვერ დაუპირდაპირეს თავისი ძლიერი და მძიმე არტილერია. ისეთი პირველხარისხოვანი სიმაგრე კი, როგორიც არის ნოვო-გეორგიევსკი, რომლის მიუდგომლობაში ყველა დარწმუნებული იყო, ვერ სძლევს გერმანელთა არტილერიის წინააღმდეგ. თანახმათ მიღებული ცნობისა, ნოვოგეორგიევსკის ბედი გადაწყვეტილია: მის გარნიზონს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლია. ამ ნაირათ, დაეცა რუსეთის ორი უძლიერესი სიმაგრე—კოვნო და ნოვოგეორგიევსკი.

რაც შეეხება ბრძოლის მსვლელობას, დღეს ასეთი სურათია: რიგის რაიონში ბრძოლა ისევ წინანდელ ფრონტზე სწარმოებს. კოშედარის დასავლეთით რუსის ჯარი წინააღმდეგობას უწევს გერმანელთა წინმსვლელობას. ცვლილება არ მომხდარა ნემანის მარცხენა ნაპირსა და მდ. ბობრზე. ბელსკის რაიონში და ვლოდავის მიმართულებით, სადაც გერმანელები ლამობენ ბრესტის თავის დავლას, რუსები კონტრ-იერიშებით აჩერებენ გერმანელთა ჯარს.

საზღვაო შტაბი იუწყება საზღვაო ბრძოლის შედეგს რიგის ყურეში. ნისლის გამო გერმანიის ესკადრამ შესძლო რიგის ყურეში შეჭრა. რადგან რუსის ფლოტი ისეთი სისწრაფით ვერ მოძრაობს, როგორც გერმანიის, ამის გამო ის იძულებული გახდა უკან დაეხია. გერმანელებმა მრავალ ადგილას დაზკერეს რიგის ყურე. ამ დიზვერვის დროს მათ მოუხდათ რუსის ფლოტთან შეტაკება, რომლის დროსაც ჩაიძირა რუსეთის კანონერი „სივუჩი“. მაგრამ თვით გერმანელებსაც დიდი ზარალი მოუვიდათ და იძულებული გახდენ უკან დაეხიათ. ამ ბრძოლის დროს მათ დაკარგეს ორი კრეისერი და 8 ნაღმოსანი. ამას გარდა მოკავშირეებმა დაღუპეს ბალტიის ზღვაში გერმანელთა ერთი ძლიერ დრედნოუტი. გერმანელების ზარალი მართლაც დიდია და უნდა ვიფიქროთ, რომ რამდენიმე ხნით ისინი შეაჩერებენ რიგის ყურეში მოქმედებას, რომ ძალის მოკრეების შემდეგ ისევ განაახლონ შეტევა.

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი საყურადღებო მოვლენა: იტალიამ მიანდო თავისს სტამბოლელ ელჩს, რომ მან ოსმალეთის მთავრობას იტალიის მხრით ომი გამოუცხადოს. უნდა ველოდეთ, რომ იტალიის ფლოტი შეუერთდება მოკავშირეებს ოსმალეთის საწინააღმდეგოთ.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 9 აგვ. ოფიციალური კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 7 აგვ. ზღვის პირის მიმართულებით აღმოვაჩინეთ და მოვსპეთ ოსმალოთა მზვერავების რაზმი, ჩვენი ჯარი გადავიდა მდ. არხავეზე და მოსპო ოსმალოთა მცველები. ოლთისის მიმართულებით მოვიგერიეთ ოსმალოთა ბობრზე ცვლილება არ მომხდარა. ჩვენი ჯარის მდგომარეობა ოსოვეცთან, ქვემო ბობრზე და ზემო ნარევზე ბელსკ-ვისოკოლიტოვსკის რკინის გზის გამსწვრივ და მდ. ბუგის მარჯვენა ნაპირზე ისევ ძველებურათ დარჩა. მტერი განაგრძობს შეტევას ბელსკის რაიონში და ვლოდავიდან პიშჩეზე, მაგრამ ჩვენი კონტ-იერიშებით ვაჩერებთ. გალიციაში ცვლილება არ მომხდარა. ნოვო-გეორგიევსკიდან ჩვენმა მფრინავებმა ცნობა მოიტანეს, რომ ციხის მდგომარეობა იმდენათ სამძიმოა, რომ მას წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლია.

შავ ზღვაზე ჩვენმა ნაღმოსნებმა მოსპეს ასი იალქნიანი გემი.

პეტროგრადი. 8 აგვ. ოფიციალური ცნობა. ბალტიის ზღვაში მიმავალი ინგლისის წყალქვეშა ნავი E13 გაირიყა დანიის კუნძულ სოლდგოლმთან. გადაარჩინეს 15 ოფიცერი. აკლია 15 მატროსამდი.

პეტროგრადი. 8 აგვ. კარძო, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ რიგის ყურეში მოქმედების დროს მტრის ფლოტი საგრძნობლათ დაზიანდა.

პეტროგრადი. 8 აგვ. ოფიციალური მთავარ სარდლის შტაბისაგან. რიგის ყურეში ბრძოლის დროს 5-სა და 6 აგვ. ჩვენ დავკარგეთ გემი „სივუჩი“. მტერმა დაკარგა ორი ნაღმოსანი. ინგლისის წყალქვეშა ნავმა ააფეთქა გერმანელთა ერთი კრეისერი. რიგის რაიონიდან ქვემო ვალიამდი ცვლილება არ მომხდარა. კოვნოს მიმართულებით ჩვენი ჯარი აჩერებს მტრის წინსვლას. ნარევსა და ბუგს შუა, ოსოვეცვისოკოლიტოვსკის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. ბელსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა მოიგერია რამდენიმე მედგარი იერიში. ბუგზე და ბრესტის რაიონში ცვლილება არ მომხდარა. ნოვოგეორგიევსკისთან ცხარე ბრძოლაა. გერმანელებმა ალყა შამოარტყეს ვისლის მარჯვენა ნაპირზე ციტადელს, დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი. 8 ივლ. კოვნოს დატოვებისა და ნოვოგეორგიევსკის მოსალოდნელე დატოვების გამო ავტორიტეტულ წრეებში გრძნობენ, რომ რუსის ხალხს ახალი განცდა მოელინა. თანამედროვე არტილერია შეუძლებელ ყოფს ციხე-სიმაგრეების დაცვას. შეუძლებელია ებრძოლოს კაცი ციხეებიდან თანამედროვე მძიმე არტილერიის გამანადგურებელ ცეცხლს ციხის ასაღებათ, ახლა საჭირო არ არი მრავალრიცხოვანი ჯარი, საკმარისია მხოლოთ ზარბაზნების დიდძალი ტუჩები. გამოცდილება და დასავლეთი ფრონტის ციხეების ბედი გვიჩვენებს, რომ ციხეებს არ შეუძლიათ გამკლავება.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 8 აგვ. დღის ოფიციალური ცნობა. გაცხარებული არტილერიის სროლა იყო არტუაში, უაზსა და ენს შუა, შამპანში და ვოგეზში. ნაღმით ბრძოლაა არგონში და კურტ შოსსეში, სენტიუბერში ჩვენ დავიკავეთ ნაღმებისაგან დათხრილი ადგილები. მტრის იერიში ფრიზში მდ. სომაზე და ლოტარინგიაში ადვილათ მოვიგერიეთ.

პარაზი. 8 აგვ. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუაში გაცხარებული სროლაა ორივე მხრით ნულეტის რაიონში და ნევილის სექტორში. ცხარე სროლაა აგრე-

ომი

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 9 აგვ. ოფიციალური მთავარ სარდლის შტაბისაგან. 7 აგვ. ზღვის პირის მიმართულებით აღმოვაჩინეთ და მოვსპეთ ოსმალოთა მზვერავების რაზმი, ჩვენი ჯარი გადავიდა მდ. არხავეზე და მოსპო ოსმალოთა მცველები. ოლთისის მიმართულებით მოვიგერიეთ ოსმალოთა იერიში ჩარგასარის მთის წინააღმდეგ. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 9 აგვ. ოფიციალური მთავარ სარდლის შტაბისაგან. მტრის ფლოტმა დასტოვა რიგის ყურე. რიგის რაიონში იაკობშტატიდან და დვინსკიდან დასავლეთით ბრძოლებია წინანდელ ფრონტზე. ვილკომირის რაიონში ცვლილება არ მომხდარა. კოშედარის დასავლეთით ჩვენი ჯარი აჩერებდა მტრის წინსვლას. შუა ნემანის მარცხენა ნაპირზე და ზემო

თვე რუას რაიონში, ლასინიაში, ენის ხეობაში და შამპანში. მტერმა რეიმსს ორმოცჯერ ესროლა. დაჭრილია ერთი. ბოსეეურში ბრძოლაა ხელით სასროლ ყუმბარებით. არგონში ვესროლეთ გერმანელთა სანგრებს. ელზასში ჩვენმა ზარბაზნებმა ააფეთქეს მტრის სურსათის საწყობი.

დარდანელი.

სოლუნი. 7 აგვ. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ინგლისის წყალქვეშა ნავი თავს დაესხა ოსმალთა ნალმოსანს, რომელიც მარმალილოს ზღვის ევროპის ნაპირებს ზვერავდა. ნალმოსანი ნაპირზე გაირიყა. მოვიდა კრუპის ქარხნის ხუთი ათასი მუშა და შეუდგენ მუშაობას, აკრძალულია თევზაობა, რადგან ეშინიათ, რომ მეთევზეებმა ინგლისელ წყალქვეშა ნავებს ბენზინი არ მიაწოდონ.

გემების ჩაძირვა.

ლონდონი. 7 აგვ. ჩაიძირა გემი „ნიუორკოიტი“. კაპიტანი და კომანდა ნაპირზე გადმოსხეს.

აანსტასარის საზოგადოება იუწყება, რომ აკლია 38 კაცი. გუშინ ჩაძირულ გემს „დინსლეზე“ მოკლულია ორი. დანარჩენი გადარჩენ. ჩაიძირენ გემები „ბარონერ კინი“ 5000 ტენ. წყალწყვისა და „რესტორმელი“ 3000 ტენ. წყალწყვისა. კომანდა გადარჩ.

სერბიის ასპარეზი.

ნიში. 7 აგვ. დუნაის ფრონტის სხვა და სხვა ადგილებში არტილერიის ბრძოლა ხდებოდა. მტრის ერთმა გემმა შესძლო ჩვენს ნაპირს მოახლოებოდა, მაგრამ ბოლოს გემი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

ცეტინიე. 8 ივლ. არტილერიის სროლა სწარმოებს გრაოვთან. ქვეითა ჯარის ბრძოლაა ფოჩთან.

დარდანელი.

სოლუნი. მიტილენიდან იუწყებიან, მოკავშირეებმა ხლთიგდეს ოსმალოთა სანგრების 50 მეტრის სივრცე სმულის მიმართულებით. აივალთან ფრანგებმა ესროლეს სამხედრო სურსათის საწყობს.

იტალიამ ოსმალეთს ომი გამოუცხადა.

რომა. 8 აგვისტო. მთავრობამ იტალიის ელჩებს დააუგზავნა ცირკულიარი, სადაც აღნიშნულია იტალიას და ოსმალეთს შორის უთანხმოებანი. რადგან ოსმალეთმა დაარღვია თავისი დაპირებანი, რომელიც მან იტალიის მთავრობას მისცა 21 ივლ. ამის გამო იტალიის მთავრობამ მიანდო თავისს სტამბოლელ ელჩს გამოუცხადოს ოტომანის მთავრობას ომი.

საზღვაო ბრძოლა რიგის ყურეში.

პეტროგრადი. 9 აგვისტო. ოფიციალური საზღვაო გენერალურ შტაბისაგან.

3 აგვისტოს გერმანელებმა იერიში მოიტანეს რიგის ყურეში. ჩვენი გემები 3-სა და 4 აგვისტოს იგერებდენ მტრის იერიშებს. მტრის მოქმედებას ხელს უწყობდა ნისლი. 5 აგვისტოს მტრის ესკადრა შეიჭრა რიგის ყურეში და ჩვენმა ესკადრამ უკან დაიხია. 7-სა და 8 აგვისტოს მტერმა დაზვერა რიგის ყურე და რამდენჯერმე შეებრძოლა ჩვენ ესკადრას. შედეგი ის იყო, რომ მტერს დაეკარგა რამდენიმე ნალმოსანი. ჩვენ დაგვეკარგა კანონერი „სივუჩი“. მტრის კრეისერი ნალმოსნების დახმარებით საღამოთი წამოეწია „სივუჩს“ და ესროლა 200 საჯენის მანძილიდან. ცეცხლ მოდებული „სივუჩი“ ესროდა, სანამ არ ჩაიძირა. მან ჩასძირა მტრის ნალმოსანი. 8 აგვისტოს მტერმა ანგარიში გაუწია თავისს ზარალს და როდესაც დარწმუნდა, რომ მიზანს ვერ მიაღწია, გასწმინდა რიგის ყურე.

3 აგვისტოდან 8 აგვისტომდე მტერს გამოაკლდა და დაეღუპა ორი კრეისერი და არა ნაკლებ 8 ნალმოსანი. ჩვენმა მოკავშირეებმა ბალტიის ზღვაზე ააფეთქეს მტრის ერთი ძლიერი დრედნოტი.

ქურნალ გაზეთებიდან.

ნარევის რაიონი.

„რუსკია ვედომოსტ“-ში კოროვი სწერს რომ სამხედრო მოქმედება ნარევის რაიონში თანდათან ვითარდება. გერმანელები ცდილობენ გზა მოუჭრან ჩვენს ჯარს, რომელიც იბრძვის ნარევის ხაზზე, იმ მოსაზრებით, რომ პირდაპირი მოძრაობით სამხრეთისაკენ ალიაქოთი მოახდინონ ზურგიდან იმ ჯარში, რომელიც ამ ჟამათ ვისლის ხაზიდან გამოდის.

გერმანიის ძალების უკანასკნელი შეჯგუფება შემდეგ ნაირათ შეიძლება წარმოვიდგინოთ: ორ დივიზია (მესამე სათადარიგო ჯარის და 1 ლანვერების) იერიშით მოდიან ჩრდილოეთიდან ვილნოსკენ. 7-8 დივიზიამდი კი მიემართება გატსზაგბროვ-ჩიტევის ხაზისკენ აღმოსავლეთით. აღმოსავლეთის უმთავრეს მიმართულებით გერმანელებმა დაიკავეს ზამბროვი, დლუმბორჟი და რიკაჩი, (ეს ორი უკანასკნელი ზამბროვის სამხრეთითაა 6-7 ვერსის მოშორებით), და მიიმართებიან იაბლონკასკენ. ამ მიმართულებით მოსალოდნელია დიდი ბრძოლა გაჩაღდეს და გერმანელები შეეცდებიან, რათაც უნდა დაუჯდეს, გამარჯვებას მიაღწიონ.

გაგიდან „ბირჟ. ვედომოსტ“ საკუთარი კორესპონდენტი იტყობინება: ისარგებლეს რა სამხედრო მოქმედების დროებით შეწყვეტით დასავლეთის ფრონტზე, გერმანელები ენერგიულათ შეემზადენ იერიშების მისატანათ ინგლისს-საფრანგეთის

1870—1871 წ.

პარიზის ალყა.

შთაბეჭდილებანი და მოგონებანი ფრანგისაკ სარსესი.

(იხ. გაზ. „სამშობლოს“ 146-ე №-რი).

19-ტს, დილით, გაშალეს თუ არა პარიზელებმა გაზეთი, ამოიკითხეს შემდეგი: „უკანასკნელი რკინის გზის ხაზი შემაერთებელი პარიზისა საფრანგეთთან და ევროპასთან გუშინ საღამოს გადაიჭრა. პარიზი ახლა თავის ანაბარათ არის. მას შეუძლია დაენდოს მხოლოდ თავისს საკუთარს ძალას. ევროპა, რომელიც ეგრე ბევრს სარგებლობდა ამ ქალაქიდან და დაუფარავი შურით შესცქეროდა მის დიდებას,—ღღეს მას საბედისწეროთ სტოვებს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ პარიზი დაამტკიცებს, რომ ის საიმედო თავშესაფარია საფრანგეთის დამოუკიდებულობისა“.

ყველა გაზეთი ერთსა და იმავე ტონით ბრწყინვალე ვარიაციებით სწერდენ: პარიზი შესძლებს მტრის გამაგრებას, პარიზმა უნდა შესძლოს ეს.

მაგრამ, რაც უფრო ახლოვდებოდა საბედისწერო წუთი, მით უფრო ირყეოდა მთავრობის გადაწყვეტილება ეროვნულ მოგერებაზე. გამოსცეს დეკრეტი, რომლითაც იწვევენ პარიზის ამომრჩეველთ მუნიციპალურ საბჭოს ამოსარჩევათ და ყველა ფრანგს დამაარსებელი კრების მოსაწვევათ, რომელშიაც უმრავლესობას უნდა გამოეთქვა აზრი სამშობლოს მომავალი ბედის გადასაწყვეტათ.

მაშინვე, 4 სექტემბრის შემდეგ რომ გამოეტანათ ასეთი გადაწყვეტილება, საფრანგეთისათვის ეროვნულ წარმომადგენლობის მისაცემათ, რასაკვირველია, არავითარ წინააღმდეგობას არ გამოიწვევ და ასეთი დეკრეტი, მაგრამ მთელი 20 დღის ლოდინის შემდეგ, ეს იმას ლაპარაკობდა, რომ ახალი მთავრობა მოიქანცა იმ ტვირთის ტარებით, რომელიც მან ეგრე გაუფრთხილებლათ მხრებზე დაიდვა და რომ არსებობს ფარული სურვილი ზავის ჩამოგდებისა და პასუხისმგებლობის სხვის თავზე მოხვევისა, ამ ეჭვებს ადასტურებდა გარეშე საქმეთა მინისტრის ნაბიჯი, გადადგმული ბისმარკისა და მეფე ვილჰელმის წინაშე.

კლუბები ქექდენ და გრგვინავდენ. რათ წავიდა ჟულ ფავრი მტრის ბანაკში? დაივიწყა განა თავისი ამაყი განცხადება: „არც ერთი გოჯა ჩვენი ტერიტორიისა, არც ერთი ქვა ჩვენი სიმაგრეებისა!?!!

და აგიტატორები ხელების გაშლითა და მუშტების ჩვენებით უმატებდენ: „არც ერთი გროში ჩვენი ხაზინისა“!

ეს იყო პირველი გამოსვლა უკიდურეს მემარცხენეებისა, რომელთაც ჩვენ კიდევ ხშირად შევხვდებით ჩვენ საუბარში. ისინი უარყოფ ენ ეროვნულ კრებისა და მუნიციპალური საბჭოს მოწვევას, იმ ანგარიშით, რა ანგარიშითაც თვითონ მოითხოვდენ კომუნის დაწესებას პარიზში. მათ უნდოდათ უფლების ხელში ჩაგდება და ომის განგრძობა კი ამ მიზნის განხორციელებას ხელს უწყობდა. ისინი, ვინც ამ პარტიას ბელადობდენ მომეტებულ წილათ გულწრფელი პატიოსანი და შეურყეველი რწმენის პირნი იყვნენ. და ფიქრობდენ, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ საფრანგეთის დაცვა. 93 წლ. ფანატიკოსები, რომლებიც არავითარ ზომებს არ დაერიდებოდენ, ოღონდაც თავისი გაეყვანათ. და თუ აქნამდი ყრუთ ებრძოდენ 4 სეპტემბრის მთავრობას, ღღეს სამუდამოთ ჩამოშორდენ მათ იმ წერილში, რომელიც მათმა ბელადმა დელაკლუზმა დაბეჭდა გაზეთ—„Béiveil“-ში. ამ წერილში გამოსაწვევ კილოთი მოითხოვდენ ხალხის სურვილის უმაღლესობას.

დელაკლუზი დიდი ჭკუის პატრონი იყო, მაგრამ—ამასთან წმინდა დიალექტიკოსი და ვიწრო შეხედულების, ის დიდი გავლენით სარგებლობდა მთელს თავის პარტიაში. პარტიის გარეთაც პატივს სცემდენ მას თავის დამოუკიდებელ ხასიათისათვის, შეუმწიკველელ ცხოვრებისათვის და იმ დიდი მსხვერპლისათვის, რომელიც მან თავის მიმართულებას მიუზღვნა. მან იცოდა სრული რწმენით წამოყენება თავისი პირობებისა, რომელიც უფრო ხშირად გაუზომავი იყო! ამ პირობებს მხარს აძლევდენ ყველა მისი თანამოაზრენი. მათი პლანი იყო მოეხდინათ 21 ნოემბრის საბაბით დიდი დემონსტრაცია, თავი მოეყარათ თანხმობის მოედანზე სტრასბურგის ძეგლთან და გადაეწყვიტათ იარაღით თუ უიარაღოთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავის დაცვა. მათი საქციელი დიდს მოუსვენარობას იწვევდა პარიზში. ამ მოვლენამ ჩაუკლა პარიზელებს გულში მომავლისადმი რწმენა, იმედები; და თვალი ზავისაკენ მიაპყრობინა.

პრუსიელებს პარიზის ასაღებათ შემდეგი აზრი ქონდათ: მათ სურდათ დაეპყროთ ვერსალი, მოევლოთ სამხრეთით და გადმოსულიყვნენ კრეტელში, იქიდან შატილიონისა და კლამორის, სიმაღლეების სიგრძით განეგრძოთ წინსვლა. გავრცელდა ხმა, რომ ტროშიუს არ სურდა ხელი შეეშალა მათ წინსვლისათვის და გადასწყვიტა დაუცადოს მტერს გამაგრებულ პოზიციამდე. არ ვიცი, ჰქონდა თუ არა მას ასეთი აზრი. ვიმეორებ, მე ვლაპარაკობ მხოლოდ იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც განვიცადეთ ჩვენ ამ დიად მოვლენის დროს. გენერალი დუკრო სედანის ქვემოთ გერმანელებს ტყვეთ ჩაუვარდა ხელში. ის მოხერხებულათ გამოეჭცა მტერს, ჩამოვიდა პარიზში და თავი მომგერებელ მთავრობის განკარგულებაში აღიარა. სამხედრო პირთა გადმოცემით, დუკრო იმ აზრისა იყო, რომ გადაეჭრათ შატილიონში პრუსიელების ფრონტი, ნახევარი ამათი ჯარი ვერსალში გადაეგდოთ და იქ ამოეჟეტეტათ; მეორე ნახევარი კი ორლეანის რკინის გზაზე გაერეკათ. ამბობენ, რომ მან ამაზე გენ. ტროშიუ დაითანხმა-ო.

მე არ შევუდგები ამ ბრძოლის აღწერას. უეჭველია, მხოლოდ ერთი,—ჩვენმა მარჯვენა ფრთამ გამაგრება ვერ შესძლო. მას შეადგენდა ზუავები, და ახლათ გაწვეული ჯარის კაცნი, რომელნიც არც ომში იყვნენ გაწაფული და არც საიმედო მეომარნი. ისინი არ იყვნენ გაფრთხილებულნი მაზე, რომ პრუსიელები ზურგიდან მათ ტყვიებს დაუშენდენ; და, ჩამოვარდა თუ არა 4—5 ყუმბარა მათ რიგში, რომელთაც თითქმის არავითარი ზიანი არ მიუყენებია, გადასწყვიტეს, რომ იღუპებოდენ და უცნაური ჟვიელ-ყვირილით:

„ვისაც შეგიძლიათ თავს უშველეთ“-ო,—მოჰკურცხლეს. ამ ნაირათ მთელი ნაწილი მოსაგერებელ ადგილისა დაიცალა; პრუსსიელებმა ამით ისარგებლეს და ხშირი კოლონებით შემოვიდნენ. მარცხენა ფრთა და ცენტრი შეუპოვრათ იბრძოდენ; მაგრამ სამხედრო უფროსებმა შეამჩნიეს, რომ, თუ მალე უკან არ დაიხევდენ, მტერი გარსშემოერტყმოდა მათ და ამოსწყვეტდა. ამისათვის ჩვენებმა დაიწიეს საკმარისათ წესიერათ და მტერს ხელში შერჩა მხოლოდ რაოდენიმე იარაღი, რომლის წამოღებაც ვერ მოასწრეს, და შატილიონის სიმაღლეები. ვისაც იმ დროს უნახავს პარიზი მას შეუძლია მხოლოდ წარმოიდგინოს ის აღშფოთება და საყოველთაო არევ-დარევა, რომელიც იქ სუფევდა.

შუადღისას ტყვიასავით გავრცელდა ხმა: „ჩვენ დავილუპეთ! პრუსსიელებმა გაიმარჯვეს, მალე შემოვლენ პარიზშიო!“

ჩემთან იყო ერთი მეგობარი, რომელსაც კავშირი ჰქონდა სამინისტროებში. ორივე ერთად გავეშურეთ გარეშე საქმეთა სამინისტროსაკენ, რომ მიგვეღო ნამდვილი ცნობა. გზაზე გამბეტა შემოგვხვდა ის ძრიელ აღელვებული იყო და ეტყობოდა განკარგულების მისაცემათ მიეჩქარებოდა.

— რა მოხდა? დავუყვირეთ ჩვენ მას.

— რა მოხდა... ის, რომ ეგ არამზადები მალოს ჭიშკარს მოადგენ!

და ჩაჯდა ეტლში.

მალოს ჭიშკართან! ეგ ცოტა გადამეტებული იყო. ჩვენ გავსწიეთ მარსის მინდორზე. იქ ვნახეთ გულის გამწყალებელი ჰაოსი: ცხენები უმხედროთ, ჯარის კაცნი უიარაღოთ. აფიცრები თავის ჯარის კაცთა მაძებარნი და სხვა. ჯარის კაცებს განცვიფრებაში შევყავდით თავისი ტლანქი და ჭეშმარიტათ იდიოტური სახის გამომეტყველობით. მოვინდომეთ მათი გამოკითხვა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა, ისე დამუნჯებული და გაშეშებული იყვნენ, როგორც მეხ-დანაცემი. ჩვენ ავედით ტროკადეროზე. იქ მრავლათ მოეყარა ხალხს თავი, საიდანაც არაფერი არ სჩანდა. ავიყვანეთ ეტლი და წავედით მონრუჟის ჭიშკრებისაკენ. ჩემთან ერთად ჩემი ერთი თანამშრომელი იჯდა ეტლში, რომელიც კორესპონდენტათ იყო სედანის ბრძოლაში. ის, რაც ჩვენ თვალწინ იდგა, მასზე ძრიელ შთაბეჭდილებას არ ახდენდა, რადგან მას უარესიც ენახა! მაგრამ მე კი

სანოვაგის სიძვირე და ამის წინააღმდეგ ბრძოლა გერმანიაში.

როგორც ყველგან, ისე გერმანიაშიც, სანოვაგის სიძვირემ ღღეს უმაღლეს წერტილს მიაღწია. ეს საყოველთაო მოვლენაა, მაგრამ მის წინააღმდეგ ზომების მიღება გერმანიის მთავრობაზე ადრე არავის დაუწყია. აქაც ის იძლევა პირველ მაგალითს და ცდილობს მისი ცუდი გავლენა ხალხზე, რაც შეიძლება, შეასუსტოს.

ცხადია, ეს მის გულკეთილობას არ მიეწერება და არც მის „პროგრესისტობას“. საქმე ისაა, რომ გერმანიის მუშები ფხიზლათ უყურებენ საგანს და ასეთ მოვლენებს ჟუურადღებით, უბრძოლველათ რომ ტოვებენ; მათ ძალა შეწევთ კიდეც და მთავრობაც იძულებულია ამ ძალას ანგარიში გაუწიოს.

ხოლო პროფესორები მზათ არიან მოიმარჯვონ მეცნიერული მეთოდი და მთავრობას მიეშველონ, რომ სოციალური მოვლენის „ცუდი“ შედეგები, სახელმწიფოს დროზე ააშორონ.

ეი ამ შემთხვევაშიაც ორ გერმანელ პროფესორს ცუნცას და კუჩინსკის—უკისრია ეს საქმე და გამოუკვლევია, თუ სანამდე მივიდა ამ ომის დროს გერმანიაში სანოვაგის სიძვირე.

მათი გამოკვლევით გერმანელს ღღეს ცხოვრება ორჯერ მეტი დაუჯდებოდა წინანდელთან შედარებით, რომ იგი ახლაც იმდენს და ისეთ საგნებს ყიდულობდეს, როგორსაც წინათ ყიდულობდა. მაგალითად წინათ—ომამდე—თუ ათი თუმანი ეხარჯებოდა, ღღეს ოცი ან ოცდა ათი თუმანი უნდა დახარჯოს, თუ უნდა იგივე საგნები ან ნივთები შეიძინოს. მართალია გერმანელი ღღეს კანონის ძალით პურს ჩვეულებრივ ნორმაზე ნაკლებს ხმარობს, მაგრამ სხვაგვარ სანოვაგის ხმარებას ხომ არ უკრძალავენ?! და თუ იგი ამასაც მაინც ჩვეულებრივ ნორმაზე ნაკლებს ხმარობს, ეს იმიტომ, რომ სანოვაგის სიძვირე აიძულებს მას ასე მოიქცეს: სხვაფრივ შემოსავალს ვერ შეუსწორებდა გასავალს და სამუდამოთ დავალიანებული დარჩებოდა; ნემეცი ხომ, როგორც ვიცით, ზედმიწევნით ყაირათიანი და ანგარიშიანი მოქალაქეა. სამწუხაროთ მეორე მხრივ გერმანიის ხალხის ასეთ ყოფას ცუდი შედეგი მოსდევს: იგი ამით დაკნინების და გადაგვარების გზას ადგება.

და აი ასეთი საზარი შედეგი რომ თავიდან აიცდინოს თვითონ ხალხი ცდილობს ამ დუხჭირ მოვლენას დროზე შეებრძოლოს და მისი ცუდი გავლენა თავიდან აიშოროს.

ხალხი ამას ორგანიზაციულათ ებრძვის: უპირველესად იარსებს სხვადასხვა კოოპერატივებს და ბევრი ქალაქის თვითმართველობა სანოვაგის ვაჭრობას თვითვე აწყობს.

თუ რა ნაყოფი გამოიღო კოოპერატივმა, ამას ნათლათ გვიჩვენებს ბერლინის მუშების მომხმარებელი კოოპერატივის ანგარიშები. ამ კოოპერატივის წევრთა რიცხვი 96 ათასს აღწევს; თუმცა სანოვაგის სიძვირე აქაც იჩენს თავს, მაგრამ შედარებათ ძალიან სუსტათ. მაგალითად ჩვეულებრივი ფასები რომ 50 პროცენტამდეა მიღწეული, აქ 12, 20 და 33 პროცენტზე მეტათ არ აწეულა. სხვანაირათ რომ ვსთქვათ: სხვაგან რომ რამე სანოვაგეს 50 კაპ. ყიდულობენ, იმას კოოპერატივში 25—30 კაპ. შოულობენ. ამასთან შემჩნეულია, რომ სიძვირის გამო მომხმარებელი ძვირფასი საქონლის ალაგას იაფფასიან „სუროგატს“ ხმარობს—ერბოს მაგიერ მარგარინს—და ტანისამოსის ნაცვლათ სანოვაგეზე ხარჯავს და ამნაირათ ყველა აუცილებელ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს; წინანდელთან შედარებით მხოლოდ სულ რაღაც 13—15 პროცენტი უფრო ძვირათ უჯდება სანოვაგე.

არის ისეთი გარემოებაც, რომ ხშირათ ზოგი საქონელი სულაც არ იშოვება ან ძალიან მცირეა; ამ შემთხვევაში ხალხი დიდი თავდაჭერით და სიმტკიცით იტანს ნაკლებობას და მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობას.

მაგრამ მის მოთმინებას საზღვარი ედება და იგი აღშფოთებულ ... ხედავს, რომ სანოვაგის სიძვირე ... კლებობას მთავრობა არ ებრძვის, ხალხი მწიფო ზომებს არ ღებულობს, რათა ხალხს ტვირთი შეუმსუბუქოს; კიდევ უფრო შფოთდება და ღელდება ხალხი, როცა იგი რწმუნდება, რომ სიძვირე ჩარჩებისგან და სპეკულიანტებისგან არის ხელოვნურათ შექმნილი.

ჩარჩები და სპეკულიანტები რომ ხელოვნურათ აძვირებენ საქონელს, ამას ნათლად გვიჩვენებს ზოგ გერმანელ ქალაქის თვითმართველობის მიერ ზოგიერთი სანოვაგის ყიდვა-გაყიდვის მოწყობა.

მაგალითად, ქალაქ კელნის მეწვრილმანეები ნემეცურ გარვანქა ($1^1/_2$) შაქარში ახდევინებენ 35 ფენინგს. ივლისში თვითონ ქალაქმა შეიყიდა ბლომად შაქარი ქარხნებიდან და ყიდდა მოქალაქეებზე გირვანქას 28 ფენინგათ. მაშინ მეწვრილმანეებმაც ამ ფასად იწყეს გაყიდვა. ამ ნაირათ ამ ზომამ შაქარი 20 % მაინც გააიაფა. ამავე წესით (იმავე ქალაქმა კელნმა ხორციც გააიაფა 25 %. იქვე გააიაფეს ამ უკანასკნელ დროს ხახვიც, კომბოსტოც და სხვადასხვა.

ასეთმა ცდამ აშკარათ დაანახვა ხალხს, რომ გაძვირების მიზეზი სულ თუ არა, ნახევრად მაინც ჩარჩები და სპეკულიანტები არიან.

ამ გარემოებამ ძალზე აღაშფოთა და ააღელვა ხალხი და სამხედრო მთავრობამაც მალე მიიღო ზომა: ვაჭრებს დააკისრეს, რომ საქონლის ფასები დუქნის კარებზე აღენუსხათ და აღნიშნულზე მეტათ არ გაეყიდათ. მაგრამ ასეთმა ზომამ საკმაო ნაყოფი ვერ გამოიღო და მთავრობა იძულებული გახდა უფრო სერიოზული და რადიკალური ზომა მიეღო.

გერმანიის მთავრობათა კავშირის საბჭომ ამ საგნის შესახებ ახალი კანონი გამოსცა და ამით ხელოვნური სიძვირით გამოწვეული გასაჭირი ხალხს რამდენიმეთ მაინც შეუმსუბუქა.

დ—ელი.

(დასასრული ხვალ.)

სახელმწ. სათათბირო

თავჯდომარეობს როძიანკო.

განსახილველია სახელმწიფო თავდაცვის შესახებ კანონპროექტი.

ვარუნსეკრეტი. ოქტომბრისტების სახელით აცხადებს, რომ ახლანდელ დროში, როდესაც ყველა გამსჭვალულია ერთი აზრით და ლოზუნგით, „ყოლიფერი ჯარისთვის“, ერთათ შეერთდენ სათათბირო, ერობანი, ქალაქები და წარმოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერძო წარმოებანი - კი ხელუხლებელნი დარჩენ კვირა-უქმეების სიმრავლის გამო. ასეთ მძიმე დროს ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ამდენ უქმეებზე. ჩვენ კალენდარში აღნიშნულია 91 უქმე დღე.

გერმანიაში კი მხოლოთ 60 უქმი დღეა. აი ეს არის ერთი მიზეზთაგანი ჩვენი ეკონომიური და ტეხნიკური უკან ჩარმორჩენისა. თვით მთავრობის დაწესებულებებში მუშაობა თავის დროზე არ იწყება: ხშირათ მუშაობას იწყებენ პირველს ან ორ საათზე და ეს ხდება იმ დროს, როდესაც ჩვენ ჯარს ერთი წუთიც არა აქვს მოსვენება.

ორატორი ოქტომბრისტების დავალებით სურვილს გამოსთქვამს, რათა მთავრობამ შეამციროს უქმი დღეთა რიცხვი.

აჯემოვი ლაპარაკობს თათბირის შემადგენლობის შესახებ და გამოსთქვამს, რომ ხსენებულ თათბირში მონაწილე საათათბიროსა და საბჭოს წევრებმა შეადგინონ თავისი საკუთარი თათბირი ყველა საკითხების კერძოთ განსახილველათ, თათბირს უნდა ყავდეს თავისი თავმჯდომარე და უნდა ქონდეს თავისი საკუთარი „საქმის წარმოება, მისი სხდომები უნდა იმართებოდეს საკანონმდებლო დაწესებულებათა შენობებში და უნდა განაგრძობდეს მუშაობას როგორც საათათბიროს მუშაობის დროს, ისე მისი დასვენების დროსაც.

ჩხეიძე. რადგან აღძრულია საკითხი კვირა უქმე დღეების შესახებ, ამისთვის საჭიროა მოვიგონოთ რა ბედი ეწია ამ საკითხს სახელმწიფო საბჭოში. ეს საკითხი რუსეთის მრავალ მოქალაქეთათვის მწვავე საკითხია. დროა ვიფიქროთ სამუშაო დროის მოწესრიგებაზე ფაბრიკა-ქარხნებში და დროა ვიზრუნოთ 8 საათის სამუშაო დღის განხორციელებაზე.

ვარუნსეკრეტისა და აჯემოვის ფორმულას საათათბირო ღებულობს.

ანტონოვის მოხსენებით სახელმწიფო საბჭოს პოლონელ წევრების ლეგისლატურის დრო კიდევ სამი წლით გაადიდეს.

ჩხეიძე: დღემდის კიდევ არ მომხდარა არჩევნები მოსკოვის მუშათა საარჩევნო უბანში.

კერენსკის წინადადება შემოაქვს, რომ ახლო მომავლში არჩევნები მოხდეს მოსკოვში.

გრ. ბობრინსკი იგონებს, რომ არჩევნები არ მომხდარა ტობოლისა და ქუთაისის გუბერნიებში. ამისთვის საჭიროა იქაც დაინიშნოს არჩევნები.

მომხსენებელი **ანტონოვი** ორატორთ ეთანხმება და მოითხოვს, რომ არჩევნების შესახებ სათათბიროს თავმჯდომარე მოელაპარაკოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

თავმჯდომარე **როძიანკოს** ეძნელება ამ საკითხს კენჭი ეყაროს და უმჯობესათ მიაჩნია, რომ სათათბირომ გამოსთქვას სურვილი: „იმ ადგილებში, სადაც არჩევნებია მოსახდენი, ასეთი დაჩქარებული იყოს“ სათათბირო ეთანხმება თავმჯდომარის წინადადებას და გამოსთქვამს ზემო აღნიშნულ სურვილს.

განსახილველია შეკითხვა გზათა მინისტრისადმი სახელმწიფო დაწესებულებათა სათბობი მასალით უზრუნველყოფის შესახებ.

მაკლაკოვი აღნიშნავს საშიშ მდგომარეობას, რომელიც გამოიწვია სათბობ მასალის ნაკლებობამ, წრეულს ჩვენ მივიღებთ შარშანდელზე 400 მილ. ფუთით ნაკლებ ქვა ნახშირს და ამ ნაკლის შესავსებათ არაფერი გაკეთებულა. ორატორი უთითებს გერმანიის მაგალითზე. იქ, როგორც კი გამოირკვა პურის ნაკლებობა, მთავრობამ შესაფერი ზომები მიიღო და საფრთხე თავიდან აიშორა.

სათათბირომ ერთხმათ დაადგინა შეკითხვა წარედგინოს გზათა მინისტრს.

სათათბირო შეუდგა იმ განცხადების განხილვას, რომელიც წარუდგინეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და შინაგან და სამხედრო მინისტრებს დეპუტატების სიტყვების შემოკლების გამო სამხედრო ცენზურის მხრით.

კერენსკი აცხადებს, რომ ახლა ჩვენ არ შეგვიძლია განვიხილოთ სხვა რომელიმე საკითხი, გარდა საზოგადო საკითხისა, რადგან ომიანობის საკითხმა ჩანსთქა სხვა კერძო საკითხები, ხალხმა უნდა იცოდეს ამის შესახებ სიმართლე, რომ ძალა მოიკრიბოს სამშობლოს ხსნისათვის. და ამისთანა დროს დამაბრკოლებელი „მიზეზები აღმოჩნდა დეპუტატებსა და ქვეყნის შორის. ხალხი კერძო წყაროდან ღებულობს ცნობებს დუმის მუშაობის შესახებ. ორატორის აზრით სათათბიროს თავჯდომარის მიერ მოწონებულ დეპუტატთა სიტყვებს სამხედრო ცენზურამ ვეღარაფერი ვერ უნდა გამოაკლოს. სამხედრო ცენზურა დეპუტატთა სიტყვის შესახებ კანონის დარღვევათ უნდა ჩაითვალოს. კერენსკი ათავებს: ჩვენ შეგვიძლია კატასტროფა თავიდან ავიშოროთ მხოლოთ ისეთი მთავრობის შედგენით, რომელშიაც შეევლენ ყველა პარტიების წარმომამადგენელნი. ქვეყნის გადარჩენისთვის საჭიროა თავისუფლება სიტყვისა და მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების კრებებისა. (ტაში მარცხნით).

ჩხეიძე. ზოგიერთ პარტიების პროგრამაში არის სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ახლა ეს პარტიები ამ საკითხს არ აყენებენ წინ, რადგან ვინც ამ საკითხს წამოაყენებს, ის მოღალატეთ მიაჩნიათ. მიუხედავათ ამისა ორატორი იძულებულია გამოაცხადოს, რომ არასოდეს რუსეთი იმდენათ არ საჭიროებდა თავისუფალ სიტყვას, როგორც ახლა, მუშათა პარტიისთვის დუმის ტრიბუნა ფაქტიურათ გაუქმებულია. არა თუ სიტყვები, ამ ტრიბუნიდან წაკითხულ შეკითხვებსაც კი არ ათავსებენ და იძულებული ვართ დავარიგოთ სტენოგრამები. ნუ ვუყურებთ იმ მომენტს, როდესაც ამ ტრიბუნიდან სათქმელ სიტყვებს სხვა ადგილას იტყვიან.

მარკოვი მეორე ლაპარაკობს შეკითხვის წინააღმდეგ. ლაპარაკობს აგრეთვე გრაფი კანნისტი.

სათათბირო უარყოფს შეკითხვის სისწრაფეს 99 ხმით 67 წინააღმდეგ.

ხუსტოვი ლაპარაკობს კოსტრომის ქარხნების გაფიცვის შესახებ. ამ გაფიცვის დროს პოლიციამ მოკლა ოთხი და დასჭრა 9 მუშა.

ლაპარაკობს ამავე საკითხის შესახებ გერასიმოვი, რომელიც შეკითხვის სისწრაფეს იცავს.

კერენსკი ემხრობა შეკითხვას. მომხრეა გრ. ბობრინსკიც.

სათათბირომ ერთხმათ მიიღო სისწრაფე და შემდეგ თვით შეკითხვაც.

შემდეგი სხდომა სამშაბათს.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

როგორც სამრეწველო სამინისტროდან ცნობა მოვიდა: იმ ახალგაზდებს, რომელნიც სწავლობენ სახელოსნო სასწავლებლებში და რომელნიც უნდა გაეწვიათ სამხედრო ბეგარის მოსახდელათ მდგომარე წლის 7 აგვისტოსათვის, ჯერ-ჯეროობით აღარ გაიწვევენ.

✦ ქუთაისის მაზრიდან ჯარის კაცების გაწვევა უკვე დასრულდა. გუშინ შეუდგენ შორაპნისა, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების მცხოვრებ ახალგაზდათა გაწვევას. ხსენებულ მაზრებიდან ამ ჟამათ დიდძალი ახალგაზდობა და მათი მშობლები არიან ჩამოსულნი. ბინის შოვნა მათთვის მეტად გასჭირდა. თითო ადამიანი დუქანში ღამის გასათევათ თითო მანეთს იხდის, მაგრამ ადგილს კიდევ ვერ შოულობენ.

✦ ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი იასონ დავითის ძე გელოვანი ამ ჟამათ მძიმე ავად იმყოფება, თუმცა ექიმებს იმედი არ დაუკარგავთ.

✦ სახალხო სკოლებისა და სამრეველო სკოლების მასწავლებლები რომელნიც დროებით ქუთაისში ცხოვრებდენ, სახალხო სასწავლებლების დირექტორის განკარგულებით თავის სკოლებში 10 აგვისტოს გაემგზავრენ. სწავლა ამ სასწავლებლებში 17 აგვისტოდან დაიწყება.

✦ საორშაბათო გაზეთი „იმერეთი“ უსახსრობისა გამო, გუშინ 10 აგვისტოს, ველარ გამოვიდა.

✦ ქუთაისის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ მთავარი გამგეობისაგან მიიღო 1000 მანეთი ფული ქუთაისის გუბერნიის წყალდიდობით დაზარალებულთა დასახმარებლათ. მთავარმა გამგეობამ 500 მანეთიც გაუგზავნა ქ. ბათომის განყოფილებას.

✦ 1 სექტემბრიდან სოფ. ამაღლებაში იხსნება ვაჟთა უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი.

✦ ს. მანდიკორის საზოგადოებაში (ქუთ. მაზრა) ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელისათვის შენობა უკვე ააგეს. მცხოვრებლები მასწავლებლის დანიშვნას დაუყოვნებლივ ელიან.

✦ ამ დღეებში ქალაქის თვითმართველობა გადადის თავის საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო ქუთ. საზოგადო საკრებულო. საზოგადო საკრებულო კი გადადის ფეიქაროვისეულ სახლებში, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პირდაპირ.

✦ ქუთაისის საგუბერნიო სამართველოს საექიმო განყოფილება თანახმათ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებისა, სთხოვს ქალაქის გამგეობას დაუყოვნებლივ მოაწყოს უბნების სანიტარული სამზრუნველოები, ასეთი სამზრუნველოებისათვის შედგენილი უნდა იქნეს წესდება და ინსტრუქცია რომელიც, რაც შეიძლება მალე უნდა წარედგინოს საგუბერნიო სამართველოს საექიმო განყოფილებას დასამტკიცებლად.

✦ ქალაქის საავათმყოფოს ივლისის განმავლობაში შემოსავალი 4717 მანეთი და 91 კაპ. გასავალი 4698 მანეთი და 90 კაპ.

✦ ქუთაისის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის თავჯდომარე ი. მ. ჩიქოვანი სთხოვს ჭიათურის შავი ქვის საბჭოს გაუგზავნოს მას იმ ტეხნიკების სია, რომელნიც ჯარში უნდა გაეწვიათ 7 აგვისტოსათვის, ასეთი ტეხნიკების შესახებ აღძრული იქნება შუამდგომლობა, რომ მათ შეღავათები მიეცეთ.

✦ 27 ივლისიდან 7 აგვისტომდის ქუთაისში რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებიდან შემოუტანიათ შემდეგი სანოვაგე: პურის ფქვილი 43 ვაგონი, ქატო 15 ვაგონი, შაქარი 5 ვაგონი, ქვა-ნახშირი 6 ვაგონი, მარილი 3 ვაგონი, ნავთი 5 ვაგონი, სიმინდი 80 ვაგონი და სხვა და სხვა სანოვაგე 7 ვაგონი.

მოწოდება.

1913 წლიდან დაბა ლაილაშში არის დაარსებული უფასო წიგნთ-საკითხველო, რომელიც ინახება საზეიმო გადასახადებით, ადგილობრივი [illegible] კრედიტის დახმარებითა და სხვადასხვა საშუალებით, მაგრამ ომის გამოცხადებიდან ბევრი წევრი გამოაკლდა და სამკითხველოს ნივთიერმა მხარემაც ძალიან დაიკლო.

ამ ჟამათ სამკითხველოს აქვს მარტო წვრილი კრედიტის დახმარება, რომელმაც მგომარე წელს შესწირა სამკითხველოს 102 მან. და დაუთმო უფასო სახლი.

ამ საშუალებით-კი სამკითხველოს შეუძლია იარსებოს მხოლოდ $^1/_2$ წელს.

ყოველი შეგნებული პირის ზნეობრივი მოვალეობაა თვისი შეძლების და გვარად წვლილი მიაწოდოს ამ კულტურულ დაწესებულებას, და მით ხელი შეუწყოს მის გაფართოების საქმეს.

მზრუნველი კომიტეტი მიმართავს ლეჩხუმის იმ მკვიდრთ, რომელნიც იმყოფებიან სხვადასხვა სამსახურის თუ ხელობის გამო ლეჩხუმის გარეშე, და საერთოდ ყველა გულშემატკივარს, ადმოუჩინონ დახმარება ფულად ანუ ნივთიერად ზემო აღნიშნულ სამკითხველოს.

ყოველი დახმარება შეიძლება გამოიგზავნოს ამ მისამართით: м. Лаилаши, Лечхум. уѣз. Кут. губ. Казначею библіотеки-чит. кн. М. Л. Апакидзе.

კომიტ. თავმჯდომარე: **არ. მეკვანაძე.**

შავი ზღვის, ტუაფსე-სენაკის რკ გზის მუშათა ცხოვრებიდან.

კაცობრიობის გასანადგურებლათ თუ გასასუფთავებლათ ალესილი ცელი—თავისას არ იშლის; საზარელი სისხლით ღებება და ვერანდება მრავალი საუკუნით შეჭმნილი კულტურა! წლობით მოსაგებში (ფულის საშოვნელათ) გასული მუშა აწ მხედარი ხთება, თუ არა და ყოველივე წარმოების შეჩერებით, დროებით მამაპაპეულ მიწას უბრუნდება; მაგრამ დახე ქართველთა უბედობას აქაც—ბუნების შეუბრალებელი სტიქიონური ძალა სარგებლობს სუსტზე და ადამიანებთან ერთად ნიავ-ღვარს ატანს მუშის ნაჭირნაოფლარს! ცრემლი მოგდის კაკს, როცა ყურს უგდებ, შავი-ზღვის, ტუაფსე—ახალსენაკის რკინის გზაზედ სამუშაოთ ჩამოსულ ქართველ მუშის გოდებას, რომლის სარჩო საბადებელიც, თუ მსხრეპლი არ გამხდარა, თვითონ მაინც ყოფილა მოწამე სხვის საძაგელ უბედურებისა. ისეთი ინტონაციით, მდაბიო გულუბრყვილო კილოთი, იწყებს გაჭირვების აღნუსხვას, თვის არ დავსთანხმდები.

მე არ ვფიქრობ, დიპლომატიურ დოკუმენტს ოდესმე მოეხდინოს ერზე ასეთი შთაბეჭდილება: მთელი პარიზი სიბრაზით აკანკალდა ყველანი შეაერთა ერთმა საერთო გარდაწყვეტილებამ—იბრძოლონ ბოლომდე. სრული ერთსულოვნება ჩამოვარდა და ეს სიკეთე ბისმარკმა შეგვძინა.

ვილ-ჟუიფის მხრით ზარბაზნების ხმა მოისმოდა. უეცრათ გავარდა ხმა დიდი გამარჯვებისა. ამბობდენ, რომ 25 ათასი პრუსიელი ტყვეთ წამოიყვანეს და მრავალი ამოჟლიტეს. ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ იმის შიში, რომ კვლავ არ მოვსტყუებულიყავით საადემონსტრაციო გამოსვლაზე გვაჩერებდა.

დაუდგრომელმა ფრანგის ხასიათმა მაინც ვერ შესძლო თავის შეკავება და დილით ქუჩებში დაიწყეს მღერა ჩვენი ჯარისკაცთა მაშინდელი მოდური სიმღერისა:

ბისმარკო, თუ რომ დაიწყებ ბრძოლას
შენს პრუსიელებს გასწყვეტავ ყველას!
ბისმარკო, თუ რომ ხმალსა აიღებ,
შენს პრუსიელებს ბოლოს მოულებ!

საღამოს ამ სიტყვების შეწყვეტა მოგვიხდა. ეგ დიდი გამარჯვება, როგორც შემდეგ გამოირკვა უბრალო ხელ მომარჯვების მეტი არა იყო რა; არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა ალყისათვის მას არა ქონდა.

მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომელშიაც აუქმებდა 2 ოკტომბრისათვის და 28 ოკტომბრისათვის დანუშნულ ეროვნულ ყრილობას და სამუნიციპალურო კრებას.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეგ დიდი საკითხი სამუდამოთ დაიმარხა.

ის მხოლოდ გადადებული იყო.

კატო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება).

არაოდეს არ დამავიწყდება ის მტანჯველი გრძნობა, რომელიც ბასრი ისარივით დაესო ჩემს გულს. ეს იყო წყეული გამოქცევა! როცა ჩვენი ჯარის კაცნი ზოგი იარაღით, ზოგი უიარაღოთ ჯგუფ-ჯგუფათ, თუ ცალ-ცალკე მომავალი მაგრამ აშკარა გამოქცეულთა ნიშნით სახეზე დავინახე. ზოგი მათგანი ისეთი მთვრალი იყო, რომ ფეხებს ძლივს მოათრევდა. აუარებელი ბრბო ქალებისა და ბავშებისა შიშით ეკითხებოდენ გამვლელთ. ყვირილი, სიმღერა, წყევლა, ხარხარი, ცრემლი, დაჭრილთა კვნესა, მეეტლების გინება, და ამასთან ერთად ღმუილი ბრბოსი, რომელიც ქარიშხლიან ზღვის ღმუილს წაგავდა, სრულს სასოწარკვეთილებაში გვაგდებდა. თვალწინ ნამდვილი სიგიჟის სურათი გვედგა. აშკარათ ლაპარაკობდენ, რომ 20 ათასი ჩვენი ჯარის კაცი 100 ათასმა პრუსიელმა გასწყვიტა კლემანთან, რომ მთელმა ჩვენმა ლაშქარმა იარაღი დაჰყარა და განაცხადა: არ სურს ბრძოლის განგრძობა. ამბობდენ, რომ ძლევა-მოსილი პრუსიის ჯარი მოსდევს გამოქცეულს ჩვენს ჯარს და მალე იერიშს მიიტანს ქალაქზეო.

ყველა ეს ხმა, თუმცა გადაჭარბებული იყო, მაგრამ სიმართლე, რომელიც გამოირკვა შემარწუნებლათ ისეც კმაროდა. აღშფოთებული ეროვნული გვარდია გამოქცეულ ჯარის კაცთ ლაჩრებს ეძახდა და თოფის კონდახით მირეკავდა ვანდომის მოედანზე.

გაბრაზებული ბრბო სახეში აფურთხებდა ამ უბედურ ლოთებს თავისი ღირსებისა და ფრანგის სახელის დამამცირებელთ, რომ მობილები ძველ ჯარის კაცებზე უფრო გმირულათ და მტკიცეთ იდგენ თავის პოზიციებზე. ბრბო ყვიროდა: გაუმარჯოს მობილებს, ძირს ზავები! მოითხოვდენ გამოქცეულთა დახვრეტას, ზოგნი გასამართლებით, ზოგნი გაუსამართლებლათ. ბულვარებში საღამოს ძრევა არ ხერხდებოდა. აუარებელი ბრბო მოეფინა ქვაფენილებს, მოუთმენელათ გლეჯდენ ერთმანეთს გაზეთებს ხელიდან, მაგრამ შიგ ნამდვილი არა იყო რა. შეცვინდნენ კაფეებში, სადაც აფიცრებსა და მობილებს, თითქოს პაემანი დაუნიშნავთო, თავი მოეყარათ, მათ გვერდით ქალები უსხდნენ; გაემარჯვათ მხიარული საუბარი, სადაც ყველანი ოხუნჯობდნენ და ხარხარობდნენ. ასეთი სურათის და ნახვით აღშფოთებულმა ეროვნულმა გვარდიამ მოწმეთ ხალხი მიიწვია და მასთან ერთად კაფეს დაეტაკა, სადაც საჩქაროთ აშალეს სუფრები. 11 საათის ნახევარზე ყველა კაფე დაიხურა. მეორე დღეს პოლიციის პრეფეკტის განკარგულებით, ეს ზომები საყოველთაოთ შემოიღეს.

გამოვიდა ორი ოფიციალური განცხადება: ერთი სამხედრო უწყებისა შესახებ წინა დღის ომისა, რომელშიაც იუწყებოდენ შემდეგს ღირსშესანიშნავ ფრაზას: „ზოგიერთმა ჩვენმა ჯარის ნაწილმა, სამწუხაროთ, უკან დაიხია!“ ეს ფრაზა პარიზელებმა საოხუნჯოთ გახადეს. და, როცა ეროვნულ გვარდიას შეხვდებოდენ, რომელიც სიგმირის შთაბეჭდილებას არ ახდენდა, სიცილით იტყოდენ: „აი ესენი დაიხევენ სამწუხაროთ უკან!“

მეორე განცხადება იყო გამბეტასი, რომელიც ნიშნავდა სამხედრო სასამართლოს სხდომას იმ ჯარის კაცთა გასასამართლებლათ, რომლებმაც უდალატეს თავის მოვალეობას. ამ ამბავმა ცოტათ დააკმაყოფილა ხალხი.

მიუხედავათ ამდენი დამარცხებისა, გამარჯვებისადმი რწმენა მაინც შეურყეველი იყო. მხოლოდ შატილიონის ქვემოთ შეტაკებამ იმდენათ გაამართლა სკეპტიკების აზრი, რომ მცხოვრებთა უმეტესობა ზავის მომხრე გახდა. უკიდურესმა მემარცხენეებმა გაიგეს თუ არა ეს განწრახვა, დაიწყეს გაცხარებული აგიტაცია კლუბებსა და გაზეთებში. მცხოვრებნი ორ ცეცხლსა შუა გრძნობდენ თავს: ერთი მხრით პრუსსიელები ებჯინებოდა მათ ყელში, მეორე მხრით ისინი, ვისაც იგინი „წითელს“ ეძახდენ. არ ვიცი, რომლის უფრო ეშინოდათ ამ ორ მოწინააღმდეგეთა შორის. მათ ეზიზღებოდათ მტერი, მაგრამ ბელეილები თავზარსა სცემდენ. ჰო, ბისმარკს, რომ სცოდნოდა ის, რაც მაშინ ხდებოდა პარიზში, რასაკვირველია, იმედს არ მოუსპობდა ზავზე ჟულ-ფავრს და მაშინ სამოქალაქო ომი მთელი თავისი სიბრაზით იფეთქებდა. საბედნიეროთ ამდენი გამარჯვებით წაქეზებული მეფის პირველი მინისტრი სულ სხვა აზრისა იყო. და ისეთი პირობები წამოუყენა ჟულ-ფავრს, რომლის მღებაც შეუძლებელი შეიქნა. და ამით მან წინათ სხვადასხვა აზრის მოპირდაპირენი ერთი საერთო აღშფოთებით შეაერთა.

ჟულ-ფავრმა თავი საუკუნოთ ისახელა იმ დროს და ჩვენი სულნი ერთ საერთო პატრიოტული ლტოლვით შეაკავშირა. მან დაგვალვრევინა ყველას ცრემლები, ცრემლები მწუხარებისა და შურის ძიებისა. მას რომ ჩვეულებრივი დიპლომატიური სტილით გადმოეცა ჩვენთვის ის, რაც მოხდა, შეიძლება ჩვენ სრულიად გულცივათ შევხვედროდით მის განცხადებას. მაგრამ ჟულ-ფავრი იყო ადამიანი და მოქალაქე. მან თავისი გულის სისხლით დასწერა ეს მანიფესტი და ის დარჩება საუკუნო მტევრმეტყველობის ფურცლათ, რომელიც კი ოდესმე დაუწერია სახელმწიფო მოღვაწეს.

ჟულ-ფავრმა ბისმარკს შემდეგი განუცხადა:

„ეს ომი დაწყებულია ერთი კაცის კაპრიზით და მან დაკარგა თავისი აზრი და მნიშვნელობა. მას აქვთ, რაც საფრანგეთმა ხელახლა დაიწყო თავისი თავის პატრონობა და თავისი საქმეების თავისუფლათ მოვლა-მოწყობა, მას სურს ზავი, მაგრამ ღირსეული და ხანგრძლივი ზავი“.

ბისმარკმა უპასუხა, რომ ის დარწმუნებული იყოს ასეთი ზავის შესაძლებლობაში, მაშინ ხელს მოაწერდა, მაგრამ ვისთან მოაწეროს ხელი? მთავრობა, რომელიც პარიზმა აირჩია ხანმოკლეა, თუ ქალაქი რამდენსამე დღეს აუღებელი დარჩა, მას ნაძირალები დაამხობენ.

ამ სიტყვის „ნაძირალების“ გაგონებაზე ჟულ-ფავრმა დაიყვირა. ეს სიტყვა სილასავით მოხვდა პარიზელებს და ყველას სიბრაზის ყვირილი გულიდან ამოხდა. ბისმარკის პასუხი არსებითად ისეთი სასტიკი იყო, როგორათაც ფორმით.

ის დაჩემებით მოითხოვდა ელზას ლოტარინგიას. და როცა ჟულ-ფავრმა განუცხადა, რომ ამ ორი პროვინციის მცხოვრებნი ამაზე არ დათანხმდებიან, პრუსიელმა მაკიაველიმ უპასუხა: „ძრიელ კარგათ ვიცი, რომ ჩვენ მათ არ ვსურვართ, ბევრი სახლაფორთო მოგველის მათთან, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ ჩამოგაცალოთ ეგ პროვინციები. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ თქვენთან ისევ ომი მოგვიხდება და ამისათვის გვსურს უკეთესი მდგომარეობა მომავალი ომისათვის ჩვენს მხარეზე დარჩეს“.

მაშინ ჟულ-ფავრი ეროვნული კრების მოწვევის საკითხს შეეხო, მაგრამ თავადმა გააწყვეტინა მას.

— ამის განსახორციელებლათ საჭიროა ხან მოკლე ზავი, ამაზე კი მე არაფრისაფერი-ფული-ფავრმა ბისმარკს შემდეგი განუცხადა:

რომ ქვა გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, არ აუჩქროლდეს.

რადგან, ოჯახური, უმწეო მდგომარეობა, ბევრს აიძულებს სამუშაოთ აქეთ-იქით მიმოსვლას, ამიტომ ყოველნაგვ გაუკვირვებლობისა და „მაცთურთ იმედების“ თავიდან ასაცილებლათ მეტი არ იქნება— საზოგადოთ აღინიშნოს ტუაპსე სენაკის რკ. გზის მუშაობის პირობებიც, რათა საწყალმა მუშამ ჭირი-ჭირს არ დაუმატოს, არამედ ორიოდე გროშის შოვნით უზრუნველ ჰყოს გაჭირვებულ ოჯახის არსებობა. თუ საერთო სიძვირეს არ მივიღებთ მხედველობაში (გირვანქა პური 5—6 კაპეიკია) მუშის დღიური ფასი ხსენებულ გზაზე (მინიმუმი) უკანასკნელი ორი მანეთია. დღიურის გარდა შეიძლება ამ-ხანაგების „არტელის“ შედგენა და კუბოების ანგარიშით საქმის აღება, საიდანაც მუყაითური მუშაობით შეიძლება სამიდან—ოთხ მანეთამდი დაირჩინოს დღიურათ თითოეულმა. საერთოდ უნდა ითქვეს, ფასი მუშისა, დღეს-დღეობით რადგან მუშა ხელის ნაკლებობაა, არაა ცუდი, მხოლოდ საჭიროა მუშებმა იმდენი წინდახედულობა გამოიჩინონ, რომ ხელში არ ჩაუვარდენ იმ მატყუარა ჩარჩ მოიჯარადრეებს, რომლებიც, წინდაწინ სოფლებშივე იაფ ფასათ ქირაობენ მუშებს და ამით ექსპლოატაციას ეწევიან მათზე.

გაგრა. **იოლა.**

დაბა-სოფელი.

სოფელი გორისა. (ზემო იმერეთი). სოფელი გორისა მდებარეობს ქუთაისის გუბერნიაში, დაბა საჩხერის დაახლოვებით. მდებარეობით სოფელ გორისას თითქმის პირველი ადგილი უჭირავს საჩხერის საბოქაულოში. მცხოვრებთა რიცხვი სამას კომლს აღემატება. უმეტეს ნაწილს მცხოვრებლებისას მუშათა კლასი შეადგენს. სიმინდი და ღვინო გორისაში კარგი მოდის, მხოლოდ წრეულს ღვინო კი თავს აღარავის ატკენს. სიმინდი ჯერ-ჯერობით კარგი სჩანს, თუ აწი ან გვალვამ და ან მეტმა წკიმამ არ წაახდინა. საუბედუროდ გორისა ყველა ამ სიკეთესთან მოკლებული არის ყოველ-გვარ კულტურულ დაწესებულებებს. გორისაში არ არსებობს: არც სამკითხველო, არც საკრედიტო ამხანაგობა და არც ორკლასიანი სასწავლებელი. არსებობს ეს სამი წელიწადია ერთ კლასიანი სასწავლებელი, მაგრამ ამ სამ წელიწადში, მგონი, სამი მასწავლებელი გამოიცვალა, ასე რომ, ამ მასწავლებლებს დიდი არაფერი სარგებლობა მოუტანიათ გორისისათვის.

გორისა არც ისე არის სწავლა-განათლებით ჩამორჩენილი. თუმცა აქ არ არსებობს სასწავლებელი, მაგრამ, ვინაც შეუძლია რამე ყველა ცდილობს, რომ საჩხერეში სამოქალაქო სასწავლებელი მაინც დაასრულებიოს თავის შვილს, ძმას და სხვას, მაგრამ მასთან ერთად უმეტესი ნაწილი რჩება უსწავლელი შეუძლებლობის გამო. გორისას ბევრი გამოჩენილი შვილი ჰყოლია და ბევრიც ყავს ეხლა, მაგრამ ისინი მხოლოდ ზაფხულობით ესტუმრებიან ხოლმე მიტოვებულ სოფელს და არც მაშინ იწუხებენ თავს გორისის ბედ-იღბლით. სხვათაშორის, გორისელია ბ. ექიმი ივანე გომართელი, რომელიც როგორც ამბობენ, შეჰპირებია გორისას წელიწადში ორ კვირას. ამ დროს განმავლობაში უნდა მიიღოს იქვე ავათმყოფები და რაც ფული შემოვა შესწიროს კულტურულ დაწესებულებებს. თუ ეს მართალი არის, ბატონი ივანე გომართელი დიდ სარგებლობას მოუტანს უპატრონო სოფელს. იმედი მაქვს, რომ სხვა აქაური ინტელიგენტებიც დაეხმარებიან სამშობლო მხარეს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დაარსებული არის ჩვენი გამოჩენილი მწერლის გიორგი წერეთლის სახელობაზე ზოგან სამკითხველო, ზოგან სასწავლებელი და სხვა. გორისაში კი, სადაც დაბადებულა და აღზრდილა გიორგი, არაფერი არ არის დაარსებული იმის სახელზე. ახლა კი დრო არის გამოერკვიონ გორისის მცხოვრებნი, არ დაჩაგრონ მგოსნის სამშობლო და დაარსონ იმის სახელზე სამკითხველო, საკრედიტო ამხანაგობა და სხვა.

ბატონი ივანე გომართელი უკვე ესტუმრა გორისას, მაგრამ ჯერ აქედან რაჭაში გაემგზავრა, მალე დაბრუნდება და იმედი გვაქვს, რომ ორი კვირა შესწიროს თავის სამშობლო გორისას.

შალვა გომართელი.

პასუხი ვინმე მღვდელს.

იმერეთის სამღვდელო და საეკლესიო მსახურთა სამარხი კასის შესახებ.*)

იმერეთის სამღვდელოების სამარხი კასის გამგეობამ მოისმინა თქვენი წერილი, რომელიც მოთავსებულია შინაური საქმეების მეათე ნომერში, მაგრამ ვერ მოახდინა ისეთი შთაბეჭდილება, როგორსაც, ალბათ თქვენ მოელოდი. წერილი იგი მიმართულია სამარხი კასის გამგეობისადმი, რომელსაც ეკითხებით: „ნუ თუ არ გესმისთ, ნუ თუ არ გრძნობთ, რომ თქვენი შემადგენლობა უკანონოა? და შემდეგ სწერთ: „წესდების ერთ ერთ მუხლში განმარტებულია, რომ გამგეობის წევრებს სამღვდელოების კრება ირჩევს და არა სხვა ვინმე.

აქედან ცხადზე უცხადესია, რომ თქვენი შემადგენლობა უკანონოა, როგორც მთელი თქვენი საქმის წარმოება, რომელიც თქვენთვის სამღვდელოებას არ დაუვალებია; რადგან არც წესდება მიუღია იმ სახით, რა სახითაც მას დაეძალეს იგი და რა სახითაც თქვენ მას აწარმოებთ. თუ ეს გარემოება არ გესმით, რათ არ სწითლდებით, როცა ისეთ საქმეს აწარმოებთ, რომელიც თქვენთვის სამღვდელოებას არ დაუვალებია--და თუ თქვენ თავს სამღვდელოების ნდობით აღჭურვილ პირებათ სთვლით, მაშინ რათ არ ასრულებთ სამღვდელოების დადგენილებას შესახებ კასის საწარიოვო ფულისა, რომელიც უკანასკნელმა კრებამ განსაზღვრა 600 მანეთით წლიურათ? თქვენ გმართებდათ თავის დროზე უარი გეთქვათ ისეთი დაწესებულების გამგეობაზე, რომელიც თავიდან ბოლომდე ძალმომრეობაზეა აშენებული. მაგრამ, როგორც იმ თავითვე, აღვიარეთ, თქვენ ამ შემთხვევაში ცოტა არ იყოს, პირადი ინტერესი დაიკავეთ და სამღვდელოების უფლებას ერთი მეჯლუგუნი თქვენც წაჰკარით. თქვენ გმართებდათ ფრთხილად მოპყრობოდით სამღვდელოების უფლებას და ხელი არ გაგერიათ მის უფლების განიავებაში, რადგან თქვენთ უმეტეს ნაწილათ სამღვდელონი ბრძანდებით.

კარგი იქნება ახლა მაინც შეიგნებდეთ თქვენ უხერხულ მდგომარეობას და შესაფერ ზომებს მიიღებდეთ. იცოდეთ, სამღვდელოება მადლობას არ გეტყვისთ თქვენი მოღვაწეობისათვის, როგორც არ ეტყვის ამას სხვასაც, ვინც ეპ. პიმენს მხარი დაუჭირა და მის მიერ ლანძღვა-თრევით უკან დაბრუნებული წესდება სამღვდელოებას თავზე მოახვია“.

ჭეშმარიტად საარაკო მოჩვენებაა ეს თქვენი წერილი. იგი იმდენათ უაზრო და ახირებულია, რომ მისი უსაფუძვლობა, უპასუხოდაც, აშკარაა ყველასთვის, ვინც კი ჩააკვირდება მისს შინაარს. რუსეთის იმპერიაში ანარქია ჯერ არ არსებობს. სხვა გზით კი, არამც თუ საკრედიტო დაწესებულება, ყაბახანაც არ გაიხსნება, გარეშე კანონიერი ნებართვისა. ამიტომ არ გვესმის, საიდან რა გელანდებათ. ალბათ თქვენი მიზანი იყო, რომ გამგეობის წევრებისათვის შეურახცყოფა მოგეყენებიათ, ჩვენებური შურისა და პირადი უკმაყოფილობის გამო, მაგრამ რათ დაგავიწყდათ, რომ სამარხი კასის გამგეგასთან ერთად თქვენ შეურაცხეთ თვით პატივცემული რედაკტორი და მისი გაზეთი, რომელიც მკითხველს უნდა აწვდიდეს ჭკუა-ზნეობის კოლოფს და არა ჭორის ბოხჩას.

გამგეობის შემადგენლობა და მისი წარმოება დამყარებულია იმერეთის სამღვდელოების კრების ორ დადგენილებაზე ადგილობითი მღვდელ-თავრის განჩინებაზე, საქართველო იმერეთის სინოდალური კანტორის უქაზზე და უწმინდესი სინოდისაგან დამტკიცებულ წესდებაზე; აქედან ცხადია, რომ გამგეობის შემადგენლობა სრულიად კანონიერია. ხოლო თქვენ რომელი უფლებით ემუქრებით გამგეობას და მთელი სამღვდელოების სახელით მოითხოვთ გამგეობისაგან გადადგომას, კასის უარის ყოფის და დახურვას, გაუგებარია, მთელი სამღვდელოება პირიქით, გარდა თითო ოროლა ფულების მოთაყვანე კრიჟანისა, სამარხი კასიდან დიდ სარგებლობას მოელის და მისი დახურვა მას ფიქრადაც არ მოსვლია. მართალია გამგეობის ეხლანდელ წევრებს შეეძლო უარი ეთქვათ, მაგრამ ამითი კასა არ დაიხურებოდა, რადგან მათ ადგილს მათი კანდიტატები დაიკერდნენ, ან სხვანი დაინიშნებოდნენ. ან რისთვის უნდა ჩაედინა გამგეობას ასეთი უაზრო კადნიერება, როდესაც ამნაირი მოქმედებით იგი დაწიხლავდა მთელი სამღვდელოების სურვილს და მინდობილობას და ურჩობას გამოიჩენდა მოავრობის წინაშე ისეთ საქმეში, რომელიც მას ფრიად სასარგებლოდ მიაჩნია მთელი სამღვდელოებისათვის?! ჩვენი ღვდლები ნიუიორკის დამზღვევ საზოგადოებაში იზღვევენ თავს და თვითეულ ათას მანეთში 30—40 მანეთს აგზავნიან ყოველ წლივ სადღაც შორს, მათთვის მიუწდომელ უფსკრულში. უკეთესი არ არის, რომ მათ თავისივე სამარხ კასაში მიიღონ მონაწილეობა, სადაც საწევრო გადასახადი ორჯერ და სამჯერ ნაკლებია და მთელი თანხა კასისა მათსავე ხელშია და მათვე ხმარდება უბედუორობის დროს?!

საეკლესიო მსახურთა **კასის გამგეობა.**

(დასასრული ხვალ).

*) იხილე შინაური საქმეები № 10.

ომში დაჭრილი და ავადმყოფი ქართველი ჯარისკაცები.

19—30 ივლ. ქუთაისიდგან და ბათომიდგან ჩამოიყვანეს დაჭრილ—დაავათმყოფებულნი და ახლად გაწვეული 145 ჯარის კაცი შთ შორის ქართველებია:

1) მამეორია კონსტანტინე მთესძე ზუგ. მაზ. სოფ. დიდი ნეძი.

2) ზარდალიშვილი პავლე ივანესძე, ქუთა ისიდგან.

3) კოჩაძე იაკინთე მიხეილისძე, შორაპ. მაზ. სოფ. ვარძია.

4) ტერამეა სიმონ იოსებისძე, ზუგ. მაზ. ს. ხეორეტხუ.

5) ზოდელავა გერმანე ალექსისძე, ზუგ. მაზ. ს. ნაზოდელეფი.

6) აწიაშვილი პილიპეზ იოსანანისძე, ბან ძიდგან (ებრელი).

7) გვასალია მარკოზ ლაზარესძე, ზუგ. მაზ. ს. ხორში.

8) იმედაშვილი ივლიანე კუკურისძე, ზუგ. მაზ. ს. ეუდეკი

9) ხუბუტია ილარიონ დათასძე, ზუგ. მაზ. სოფ. ჯვარი.

10) მიქაძე ბიკტორ გიორგისძე, სენაკ. მაზ. ს. ქოლობანი.

11) მარუაშვილი ვარლამ სიჩინოსძე, ოზ მაზ. ს. ნიგოითი.

12) დვალიანიძე იაკობ პავლესძე, რაჭ. მაზ. ს. სხვავა.

13) ბახტურიძე ტერენტი სპირდონისძე, შორ მაზრა ს. ხრეითი.

14) კვარაცხელია მოსე გუჯასძე, ზუგ. მაზ. სოფ. ჯგალი.

15) ჭიჭაფეა მელიტონ მათიასძე ზუგ. მაზ. სოფ. ჯგალი.

16) სამუშია ვლადიმერ ხიდუსძე, ზუგდ. მაზ. სოფ. ლია.

17) ასათიანი კონსტანტინე პორფილესძე, ლეჩხ. მაზ. ს. დერჩი.

18) ბესთავაშვილი ნიკოლოზ კვლანასძე, შორ. მაზ. ს. თელეთი (ოსეთ). 19) სუბათაშვილი გრიგოლ გერასიმესძე, ქუთ. მაზ. ს. ისრითი. 20) გიორგაძე კლაქტიონ მიხეილისძე, ქუთ. მაზ. ს. სიმონეთი. 21) ჩუბინიძე ქრისტეფორე ივლიანესძე, ქუთ მაზ. ს. სიმონეთი 22) სიმონია არჩილ დიმიტრისძე, სენ. მაზრა ს. რობა 23) ტერტვაძე გრიგოლ გიორგისძე, ქუთ. მაზ. ს. სიმონეთი. 24) ბაჯაია ლევან ქვაბლიანესძე, ზუგ. მაზ ს. დიდინეძია. 25) მაჭავარიანი ივანე სიმონისძე, შორაპ. მაზ ს. ლაშე. 26) ჩუბინიძე სერგო არქიპოსძე, შორაპ. მაზ. სოფ. სასანო. 27) კუპატაძე ნიკიფორე დიმიტრისძე, შორ. მაზ. ს. სასანო. 28) ჩუბინიძე ალექსანდრე დავითისძე, შორ. მეზ. სოფ. სასანო. 29) ოტიაშვილი ტრიფონ სოდომონისძე, შორ. მაზ. ს. დიდიკორი. 30) თხილავა მიხაკო ასონისძე, ქუთ. მაზ. ს. დანარი. 31) კაფრინდაშვილი ბიკენტი დავითისძე, შორ. მაზ. ს. მდემეკი. 32) კვიოლაძე ბიკტორ ივანესძე, შორ. მაზ. ს. რკანი. 33) ფხაკაძე სამსონ პარმენისძე, ქუთ. მაზ. ს. ფარცხანაანეკი. 34) სურმავა ეფრემ ესტატესძე, სენ. მაზ. ს. ბომბოთი. 35) ქოჩიაშვილი ანდრონიკე მიხეილისძე, შორ. მაზ. ს. თერჯოლა. 36) რურუა სიდონან კიმოთესძე, სენაკ. მაზ. ს ორქა. 37) წუმბურიძე დავით გედევანისძე, ქუთ. მაზ. ს. სიმონეთი. 38) ფირცხალავა იონა მიხეილისძე, რაჭ. მაზ. ს. მრავალძალი. 40) წიდლაძე ზოსიმე დავითისძე, შორ. მაზრა ს. სამთო. 41) კაციტაძე ოქროპირ ივანესძე, შორ. მაზ. ს. კიდულეთი. 42) მარგოზია ვლადიმერ იაკობისძე, ზუგ. მაზ. ს. ჯოლა. 43) ჩიხლაძე გრიგოლ გასიდისძე, ქუთ. მაზ. ს. კვარცხე. 44) ფეფალია იოსებ მეთოდესძე, ქუთ. მაზ. ს. დიმი. 45) აბზიანიძე კლიმენტი ალარიონისძე, ქუთ. მაზ. ს. ჯიხაიში. 46) შანგირაძე პლატონ მოსესძე, ქუთ. მაზ. ს. წულტეხო. 47) აბულაძე სავლე იოსების ძე, შორ. მაზ. ს. კაცხი. 48) დვეოაშვილი ალექსანდრე მიხეილისძე, ქუთ. მაზ. ს. ობჩა. 49) სამეურნეშვილი პარმენ რევაზისძე, შორ მაზ. ს. სარქველეთუბანი. 50) ნანავა ისაკი საბასძე, ზუგ მაზ. ს. ნარიზენი. 51) შარიზია პეტრე დათასძე, ზუგ. მაზ. ს. აბასთუმანი. 52) ფხაკაძე რაჟდენ დიმიტრისძე, ქუთ. მაზ. ს. ფარცხანაანეკი. 53) იობიძე ილარიონ ვასილისძე, ქუთ. მაზ. ს. ელოური 54) კუტია კონსტანტინე ივლიანესძე, სენაკის მაზ. ს ნაესაკოფ. 55) არონია დევან დავისძე, სენ. მაზ. ს. ფეიხეი. 56) ბაქრაძე ილია სვიმონისძე, რაჭ. მაზ. ს. ჯვარისუბანი. 57) გოცაძე ვარლამ სპირდონისძე, შორ. მაზ. ს. ბიდი. 58) ნინუა ალექსანდრე პავლესძე, ქუთ. მაზ. ს. კულაში. 59) ათრიდონიძე სენეფორე ანდრეასძე, ქუთ. მაზ. ს. ოდელეური. 60) დოხნაძე ალექსანდრე პავლესძე, რაჭ. მაზ. ს. ნიკორწმინდა, 61) რურუა სიდონან კიმოთესძე სენ. მაზ. ს. ორეა 62) ხურციძე იაკინთე გერმოგენისძე, შორ. მაზ. ს. კიდელეთი. 63) რეხიდაძე აქვსენტი ნიკოსძე, შორ. მაზ. ს. ილემი. 64) ბახურაძე ილია ივანესძე, ქუთ. მაზ ს. ვარციხე. 65) ფალავანეშვილი დიმიტრი გიორგისძე, ქორის მაზრა ს. დაშისუანა.

ამა-ში ურეკია ახლად გაწვეულნი ჯერ ჯარში არ ეოფილნი უმაწვილები, რომლებიც ავათ არიან ამა თუ იმ ავადმყოფობით (ძლიმედ არავინ არის ავათ, ან დაჭრილი). ესენი მოათავსეს თბილისის სხვადასხვა საავადმყოფოებში. **შ. ქ.**

წერილი რედაქციის მიმართ.

პასუხად ბ. ანტონ კაციას ძე ეღენტს.

ბატონო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ-გაზეთის-საქართველოში (№ 247—5 აგ.) ბატონ-ბატონ ეღენტი ეღენტი ეღენტი